



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 აპრილი, 2016 წელი

დრო: 17:00-18:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მარიამ ოზაშვილი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“
2. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
3. ნინო თალაკვაძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. მარიკა ალუღიშვილი - საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
6. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის ფონდი

მოწვეული სტუმარი: გოჩა ალექსანდრია - პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე

განსახილველი საკითხები:

1. დასაქმებულთა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შეხვედრის შედეგები - ირაკლი პეტრიაშვილი ,V სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი; ვიტალი გიორგაძე - სამმხრივი კომისიის წევრი
2. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მიერ შემუშავებული ალტერნატიული საპენსიო სისტემა - გოჩა ალექსანდრია - პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
3. ჯგუფის სამომავლო საქმიანობის გეგმები
4. სხვა საკითხები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა სამომავლო პერსპექტივები. ჯგუფის კოორდინატორმა მოკლედ შეაჯამა ჯგუფის საქმიანობა და წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს აქტიურობისკენ მოუწოდა.

საკითხთან დაკავშირებით, ახალგაზრდული ალტერნატივის წარმომადგენელმა, ბატონმა ნუკრი ყველაშვილმა ჯგუფს შესთავაზა, შეიქმნას Facebook გვერდი, სადაც ჯგუფის წევრებს ექნებათ შესაძლებლობა ინტენისურად ჰქონდეთ კომუნიკაცია და გაცვალონ მოსაზრებები.

გამომდინარე გეგმიური შეხვედრების შეზღუდული რაოდენობისა, პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენელმა, ბატონმა ლაშა ბლიაძემ ჯგუფს შესთავაზა, დაგეგმონ დამატებითი შეხვედრები წევრი ორგანიზაციების ოფისებში.

ბატონმა ნუკრი ყველაშვილმა ჯგუფს ასევე შეახსენა სექტორალური შეხვედრის ორგანიზების შესაძლებლობის შესახებ და ჯგუფის წევრებს მოუწოდა მოამზადონ კონკრეტული საკითხები, რის გარშემოც სურთ საუბარი პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ია თიკანაძემ ყურადღება გაამახვილა რიგ კონვენციებზე, რომლებსაც მიუხედავად მაღალი მოთხოვნისა, საქართველო არ უერთდება. ამდენად ჯგუფს შესთავაზა იმსჯელონ ამ საკითხებზეც და განსახილველად გაიტანონ სექტორალურ შეხვედრაზე.

რამდენადაც, რანდენიმე მომხსენებელმა ვერ შეძლო შეხვედრაზე დასწრება, დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხის - დასაქმებულთა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შეხვედრის შედეგების, შესახებ ჯგუფს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ბატონმა გოჩა ალექსანდრიამ.

შემდეგ ეტაპზე ბატონმა გოჩამ, ისაუბრა საპენსიო სისტემის კონცეფციაზე, რომლის დამტკიცებასაც სახელმწიფო გეგმავს. მან ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული სისტემის შესახებ კონცეფცია დევს სამინისტროს ვებგვერდზე და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ

მის შინაარსს, თუმცა ფართო საზოგადოებისთვის დოკუმენტის დეტალები ჯერ კიდევ უცნობია.

მან ჯგუფს წარუდგინა ალტერნატიული სისტემა, რომელიც შეიმუშავა პროფესიული კავშირების გაერთიანებამ. სისტემა შედგება სამი სვეტისგან და მოიცავს შემდეგს:¹

1. საყოველთაო სახელმწიფო ბაზისური პენსია;
2. სავალდებულო (განსაზღვრული სარგებლის, Pay As You Go- შემოსავალთან დაკავშირებული) სქემა;
3. ნებაყოფლობითი კერძო(განსაზღვრული შენატანების) სქემა.

ჯგუფმა ასევე განიხილა შრომის ინსპექციის, მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის საკითხები.

ჯგუფის კოორდინატორმა წარადგინა წინადადება, სექტორალური შეხვედრის ფარგლებში ერთ-ერთ საკითხად ჯგუფმა გაიტანოს საპენსიო რეფორმა და ჩანიშნონ შეხვედრა ეკონომიკის სამინისტროსთან.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

¹ ოქმს თან ერთვის პრეზენტაცია